

Georgian Poetry in the Face of Repression in the 1930s

ქართული ლექსი მეოცე საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების პირისპირ

Salome Lomouri

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli institute of Georgian Literature
(Georgia)

სალომე ლომოური
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ინსტიტუტი
(საქართველო)

Abstract:

The 1930s is one of the most tragic pages in the history of Georgian literature. As a result of Bolshevik rule, Georgian poets had to give up the search for versification and artistic-stylistic forms and, instead of developing modernist trends they almost wholly confined themselves to proletarian themes. Georgian verse, highly enriched in the 1910s-1920, nearly stopped evolving a decade later.

The poets who failed to fit into a common pattern and tried to preserve their individuality were declared the "enemies of the people". They were faced with the choice of either to write Bolshevik poems or to be physically destroyed.

The poetry was focused on the theme of revolution and building of communism. Proletarian literature rejected patriotism and replaced it with internationalism.

Despite the threat of physical destruction, some Georgian poets still managed to adhere to the main path of the development of ancient Georgian poetry in the 1920s and 30s. Along with the older generation, a new generation of poets (Lado Asatiani, Mirza Gelovani, Aleksandre Sajaia, Giorgi Napetvaridze, etc.) appeared on the scene in the early 1930s. These poets were able to revive the forms of national versification under the guise of

Soviet internationalism. They adapted the traditional long- meter (20- and 16-syllable) textual structure to the verses on patriotic theme.

The genre of ballad which occupies a worthy place in the works of the poets of "Our Generation" was also revived. Young authors turned poetic folklore into a source of creativity, and literary verse again came in close contact with folk poetry.

This is especially important because these poets managed to breathe new life into the traditional Georgian verse forms at a time when the Bolshevik regime was fighting against "formalism."

Keywords: Georgian poetry, Versification, Ballad, Mirza Gelovani, Giorgi Nafetvaridze

საკვანძო სიტყვები: ქართული პოეზია, ვერსიფიკაცია, ბალადა, მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე

მეოცე საუკუნის 10-20-იანი წლები ქართულ პოეზიაში უაღრესად ნაყოფიერი პერიოდია. მოდერნიზმის გაბატონებამ თან მოიტანა ბევრი სიახლე. ვერსიფიკაციულ და მხატვრულ-სტილისტიკურ ფორმათა ძიებებმა გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ქართული ლექსი. „ახალი შინაარსი ლიტერატურაში ყოველთვის მოითხოვს ახალ ფორმებსაც... – აღნიშნავს ვ. ბრიუსოვი (1987, გვ. 442), – ახალი შინაარსი შეუძლებელია ადეკვატურად გამოიხატოს ძველი ფორმებით; საამისოდ საჭიროა ახალი ენა, ახალი სტილი, ახალი მეტაფორები, ახალი ლექსი, ახალი რიტმები“. გალაკტიონის პოეტურმა რეფორმებმა და

„ცისფერყანწელების“ მოდერნისტულმა ძიებებმა ქართული პოეზიის განვითარება ახალი გზით წარმართა.

მოდერნიზმის შემოსვლის შემდეგ, ქართული ლექსი ახალ თვისებრიობას იძენს, თუმცა არ ივიწყებს ტრადიციული პოეტიკის ნორმებსაც. „ათწლეულის პირველ ნახევარში ლექსწყობის საერთო ხასიათი ტრადიციული საზომებითაა განსაზღვრული, 1915 წლიდან კი მათი ხვედრითი წილი მცირდება და ტენდენცია სიახლეებისაკენ სწრაფვაში იკვეთება. მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ქართულ ლექსწყობაზე

დაკვირვება ცხადყოფს, რომ იგი მიიღწევის მეტრული მრავალსახეობის დამკვიდრებისკენ“ (ქურთიშვილი, 2002, გვ. 31). გარდა ამისა, ქართული ლექსი მდიდრდება ევროპული მყარი სალექსო ფორმებით (სონეტი, ტრიოლეტი, სექსტინა და ა.შ.); 20-იან წლებში ჩნდება პირველი ვერლიბრები (გალაკტიონი, პაოლო იაშვილი).

საქართველოში ბოლშევიკური მმართველობის დამყარების შემდეგ (1921წ.), ნელ-ნელა იზღუდება შემოქმედებითი თავისუფლება და მწერლები, ნებით თუ იძულებით, იდეოლოგიური მანქანის სამსახურში დგებიან. ეს პროცესი თანდათან უფრო აგრესიული ხდება. ბოლოს კი სისხლიანი რეპრესიებით სრულდება. 20-30-იან წლებში „ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოდერნისტული ტენდენციები კონცეპტუალურ ანტაგონიზმში აღმოჩნდა საბჭოთა დიქტატურის იდეოლოგიურ პრინციპებთან. სულიერი ღირებულებების დესტრუქციით აღნიშნული პოლიტიკური კურსი იმთავითვე დაუპირისპირდა შინაგანი, სულიერი ძიებით აღნიშნულ ლიტერატურულ პროცესს“ (რატიანი, ელბაქიძე, 2016, გვ. 9). 20-იანი წლების ბოლოს მთელ საბჭოეთში იწყება ახალი შემოქმედებითი მეთოდის შემუშავება, რომელიც 1932-34 წლებში ფორმდება როგორც

„სოციალისტური რეალიზმი“. ამიერიდან ყველა მწერალი ვალდებულია, მოერგოს ამ ყალიბს. ხოლო ისინი, ვინც არღვევს მას, ხალხის მტრებად ირაცხებიან და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დგებიან. პროლეტარულმა ლიტერატურამ უარყო პატრიოტიზმი და იგი ინტერნაციონალიზმით ჩაანაცვლა. აიკრძალა ფორმალისტური ძიებებიც.

მაშინ, როცა ბოლშევიკური რეჟიმი მთელი ძალით ებრძვის ნოვატორობას და ცდილობს, ჩაკლას თავისუფალი შემოქმედებითი სული, სასწორზე დგება არა მხოლოდ წინსვლა და ახალი გზით განვითარება, არამედ, სოცრეალიზმისთვის მისაღები ტრადიციული პოეტიკური ნორმების ათვისება და შენარჩუნება. 30-იანი წლების დასაწყისში ოფიციალურად გაუქმებულია ყველა სალიტერატურო დაჯგუფება და მიმდინარეობა. პოეტები ერთიანდებიან მწერალთა კავშირის ირგვლივ, რომელიც ბოლშევიკურ სისტემას ექვემდებარება.

ამგვარ ვითარებაში გამოდის ასპარეზზე 30-იან წლებში ახალი თაობა – ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, ალექსანდრე საჯაია, გიორგი ნაფეტვარიძე, რევაზ მარგიანი, ლადო სულაბერიძე და სხვ., რომელთა შემოქმედებას თანამედროვენი ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებიდან ეცნობიან. ამ პოეტებს ხელი მიუწვდებათ როგორც

ტრადიციულ სალექსო ფორმებზე, ასევე, წინა თაობების ვერსიფიკაციულ ექსპერიმენტებზე. თუმცადა, მათთვის მოდერნისტული დანატოვარის ათვისება და გამოყენება მიუწვდომელი და სახიფათო ოცნება ხდება. პოეტების უმრავლესობა იძულებულია, გვერდი აუაროს 10-20-იანი წლების ევროპულ სალექსო ნოვაციებს და ტრადიციული ფორმებით შემოიფარგლოს. მიუხედავად ამისა, „ჩვენი თაობის“ პოეტთა შემოქმედებაში შეინიშნება ორიგინალური პოეტიკური სიახლეები, სწრაფვა თვითდამკვიდრებისკენ, ახალი სალექსო ფორმების, პოეტური სტილისტიკის ძიებისა თუ ეპოქისეული ტრაგიკული გამოწვევების გულწრფელი ემოციური შეფასებისკენ.

„ჩვენი თაობის“ წარმომადგენლებმა შეძლეს ეროვნული ვერსიფიკაციული ფორმების აღორძინება საბჭოთა ინტერნაციონალიზმის საფარველში. *„40-იან წლებში მოახლოებული ომის საშიშროება საბჭოთა ხელისუფლებას აიძულებდა, ეზრუნა არა მარტო თავდაცვისუნარიანობისთვის, არამედ მოსახლეობის „მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობაზე“. უპირველესი და გადაწყვეტი რილი დაეკისრა მწერლობას. ე.წ. საბჭოთა პატრიოტიზმისა და ეროვნული პატრიოტიზმის სინთეზი 30-იანი წლების პოეზიაშიც იგრძნობოდა, თუმცა ძნელად მიიღწეოდა მაღალი პოეზიის რანგში“* (ცხადაია, 2006, გვ. 43).

„ჩვენი თაობის“ წარმომადგენლებმა ისარგებლეს ამ კომპრომისით და ტრადიციული გრძელსაზომიანი (20– და 16-მარცვლიანი) სალექსო სტრუქტურა პატრიოტული თემატიკის ლექსებს მოარგეს. ახალგაზრდა პოეტები, ასევე, ხშირად მიმართავდნენ სიმეტრიულ 10-მარცვლედს (5/5), ბესიკურ 14-მარცვლედსა (5/4/5) და შაირს (4/4, 5/3).

* * *

რიტმი და მეტრი ლექსის საყრდენი კომპონენტებია. საზომი და მარცვალთა რიტმული განაწილება ტაქში დიდწილად განსაზღვრავს ლექსის ტემპსა და ინტონაციას. შეიძლება ითქვას, სტრიქონთა ემოციური ზემოქმედება მკითხველზე პირდაპირ კავშირშია მეტრთან, რიტმსა და ფონიკასთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია სტროფიკა, რითმა და სემანტიკა. გასპაროვი მიუთითებს (2003, 13), რომ *„ლექსების კითხვისას ჩვენ არასოდეს აღვიქვამთ მხოლოდ იმას, რაც ნათქვამია სიტყვიერად – ჩვენ ყოველთვის შევიგრძნობთ იმასაც, რასაც გვეუბნება მათი მეტრი, რიტმი, რითმები, სტროფები“*.

„ჩვენი თაობის“ პოეტთა შორის მირზა გელოვანი ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. მისი ლირიკა მდიდარია როგორც პოეტური

სახეებით, ასევე, მეტრულ-რიტმული რეპერტუარით. მ. გელოვანი ყველაზე ხშირად სიმეტრიულ ათმარცვლედს (5/5), ბესიკურ 14-მარცვლედსა (5/4/5) და შაირს (4/4, 5/3) მიმართავს, თუმცა იგი იყენებს ქართული ლექსწყობაში დამკვიდრებულ თითქმის ყველა საზომსა და მათ ვარიაციებს.

პოეტი არ ერიდება ექსპერიმენტებს და ხშირად ტებს ტაეპებს. მასთან გვხვდება როგორც მყარი სალექსო ფორმები (სონეტი, სექსტინა, აშულური), ასევე, ვერლიბრები. ზოგჯერ მ. გელოვანი კონვენციური და თავისუფალი ლექსის ზღვარზე მდგომ პოეტურ ტექსტებს გვთავაზობს. ეს ე.წ. „შერეული ტიპის“ ლექსები არც ბოლომდე ვერლიბრებია, რადგან ერთგვარ მეტრულ წესრიგს ინარჩუნებს, მაგრამ ჰეტეროსილაბიზმის საზღვრებსაც სცდება, რადგან ერთ სტროფში გაცილებით მეტი საზომი ერევა, ვიდრე ჰეტეროსილაბური სტროფისთვის არის დამახასიათებელი.

მ. გელოვანის ლექსებში ხშირად გვაქვს ერთი საზომის რამდენიმე რიტმული ვარიაცია. ავიღოთ, მაგალითად, ლექსი „ქარი სძარცვავდა საყდარს“. მოცემულ სტროფში ერთმანეთს ენაცვლება 12-მარცვლედის ვარიაციები: 2/4//2/4, 3/3//2/4, 3/3//3/3, 2/4//1/5 და 6-მარცვლედი (3/3).

მიწას დასცქეროდა მთვარე მოღუნული,	2/4//2/4
სწრაფად იცვლებოდა ცის დეკორაცია,	2/4//1/5
ღამეო! რადა ხარ ნისლებ მოხურული,	3/3//2/4
მოშაო პერანგი რისათვის გაცვია.	3/3//3/3
პასუხს არ იძლევა...	3/3
ქარი კი ფრთა-მალი	3/3
საყდრის სახურავზედ თუნუქს აქანებდა,	2/4//2/4
ისმოდა რაკუნის მძაფრი და ნამალი,	3/3//3/3
იბრძოდენ... და, ალბად, თუნუქი დანებდა.	3/3//3/3
(„ქარი სძარცვავდა საყდარს“, გელოვანი, 2009, გვ. 34-35)	

რიტმული მრავალფეროვნება ორიგინალურ ჟღერადობას ანიჭებს ლექსს. თუმცა ეს პოეტური ტექსტი არანაკლებ საინტერესოა მასში წამოჭრილი პრობლემატიკის თვალსაზრისითაც. სტიქიური, ეპოქისეული გარდაქმნები ნელ-ნელა ანადგურებს ისტორიულ მონაპოვარსა და ღირებულებებს. სტიქიის პირისპირ მარტოდ დარჩენილი საყდარი დასანგრევად არის განწირული. ამგვარი სულისკვეთება მიჰყვება ლექ-

სის მეორე ნაწილსაც. აქ ისახება ის უიმედობა, რომელიც სისტემის წინააღმდეგ მებრძოლ და დამარცხებულ ადამიანებს დაუფლებიათ:

საყდარო! ინგრევი, დრომ ხელი
აიღო, ინგრევი და ვილა შეუდგეს
აგებას?! ინგრევი...
ო, არ გსურს და შენი ტირილი,
ქარმა რო დაკარგა შორს
ლაბირინტებში, დადუმდა – თუ ისევ
გაისმის ყვირილი ცხოვრების
გაუალ, ეკლიან ბარდებში?!...
(„ქარი სძარცვავდა საყდარს“,
გელოვანი, 2009, გვ. 34-35)

მსგავს პრობლემატიკას წამოჭრის მირზა გელოვანის ბალადა „აონიც“, რომელიც 1937 წლით თარიღდება. მასში კარგად ჩანს ძველი ღირებულებების მსხვრევა, რაც ახალი რეჟიმის გამეფებას მოჰყვა. ალუდას ვოჟი, რომელიც ასოციაციურად ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურს“ გვახსენებს და, წესით, მისი ღირებულებების მატარებელი უნდა იყოს, ზარს დათოფავს. როცა მოხუცი ბერი მის დასჯას მოითხოვს, ხალხი სიცილს დააყრის:

– ალუდას ვოჟმა ზარი დათოფა!
ხალხმა უნდა განსაჯოს სასჯელი
მისი. სადაღას თემი, ან ადათობა!
წაიბილწაო საყუდარ ხვთისი.
– მერე ელოდა გულ-ატკეცილი
ხალხის ნათქვამს და თავი
დახარა. მაგრამ ბიჭებში ჩადგა
სიცილი,
ზოგმა ხმამაღლა გადიხარხარა.
(„აონი“, გელოვანი, 2009, გვ. 185-188)

მირზა გელოვანი 10– (5/5), 8– (5/3), 7– (4/3), 6– (2/2/2) და 5– მარცვლიან ტაეპთა მონაცვლეობით შესანიშნავად აგებს ემოციურ პლანს, ხოლო ფშაური კილოს გამოყენება პერსონაჟებს ბუნებრიობას მატებს. ოსტატურადაა დახატული მოხუცი ბერის სასოწარკვეთა, როცა იგი პირისპირ ეჩეხება ახალ რეალობას:

– ვინ დაანგრია დიდხანს
 ნაშენი? თუკი გამარცვეს, ვილა
 შემოსავს?! აონ, დიდება რა
 იქნა შენი,
 აონ, ნათელი რატომ არ
 მოსჩანს?!... მე მიჭირს
 სუნთქვა...
 გატეხილია შავი კარები.
 ძლიერი იყავ და აწი ნუ
 გქნა,
 მიყვარდი, მაგრამ არ მეყვარები.
 („აონი“, გელოვანი, 2009, გვ. 185-188)

განრისხებული ბერი ღმერთს გმობს („რად არ მიუზღავ მტერს, თუ გაქვს სული?! – შელანძღა ნიში, ხატიც ჩაწიხლა“ – გელოვანი, 2009, გვ. 185) და თავადვე ჭრის ცაცხვს, რომელიც ოდითგანვე საკრალურ ხედაა მიჩნეული.

აღსანიშნავია, რომ მირზა გელოვანის ლექსის სიუჟეტი საკმაოდ ჰგავს კონსტანტინე გამსახურდიას ნოველას – „ზარები გრიგალში“. ისევე, როგორც გამსახურდიას მნათე, ბერიც აცნობიერებს, რომ ღირებულებები, რომელთა დაცვაც ევალებოდათ, უკვე წარსულის საკუთრებაა. თუმცა მნათე ოქროპირი ზარების რეკვით ცდილობს ხალხის გამოფხიზლებას და ექსტაზში იღუპება. მირზა გელოვანის პერსონაჟის ტრაგედიის მიზეზი კი რწმენის დაკარგვა ხდება.

პოეტი ეფექტურად იყენებს გამეორებებისა და ანაფორას, რათა დინამიკა შემატოს სტრიქონებს. განსაკუთრებით ექსპრესიულადაა აღწერილი ბერის აღსასრული:

დაეცა ცაცხვი... მერე ხევებში
 გაბმით ისმოდა ზართა
 ჟრიალი. ვიღაც გარბოდა
 მოსახვევებში, ვიღაც გიჟი და
 თვალ-ჟინჟლიანი, გარბოდა
 იგი, ჩქარი, საზარი, გარბოდა
 იგი, გული სტკიოდა,
 თითქოს მისდევდა დაჭრილი
 ზარი, მისდევდა ზარი და
 მიჰკიოდა.

.....
წინ გადაუდგა მორბენალს ხევი
და კლდეებს შერჩათ ჩოხის ნახევი.
(„აონი“, გელოვანი, 2009, გვ. 185-188)

ლექსის ბოლო სტროფში მოქმედება ზღაპრის პლანში ინაცვლებს. მხოლოდ იქ შეიძლება მოხდეს რწმენის აღდგენა, და გაბზარული ზარის გამთელება, ძველი ღირებულებების დაბრუნება (მოხუცი ბერი „იკიდებს ზარებს ერთიან/ და სამკედლოსკენ გამოსწევს ბარში“ – გელოვანი, 2009, 188).

მირზა გელოვანი ალიტერაციების ოსტატიცაა. იგი გამეორებებით, რიტმული ცვლილებებითა და ევფონიის გამოყენებით ახერხებს ემოციური, დიდი შინაგანი მუხტის მქონე პასაჟების შექმნას. ამ მხრივ „აონის“ გარდა, „ბალადა შავლეგოზე“ გამოირჩევა. ლექსის ბოლო სტროფი 10-მარცვლედისა და მთიბლურის მონაცვლეობითაა დაწერილი და აშკარაა ქართული ფოლკლორის გავლენა:

– ქარო, შე ქარო, შარიანო!
წადი, გაიარ მუხრან-ველი.
კლდეს არწივები არიანო,
არსენას უთხარ, ნუღარ
მელის. შავლეგ ხიფათმა
დაიტანაო, სადაც უტყეო
მთები არი.
არც ქვრივმა დედამ დაიტირაო,
არც სატრფო მოსთქვამს
თმებიანი. ქარო აშარო, ფრთა
გაშალეო, არწივებს უთხარ
კაცის ენით:
კლდის ძირას კვდება ბიჭი
შავლეგო, მარტო კლდე ტირის
ჟანგისფერი.

(„ბალადა შავლეგოზე“, 2009, გვ. 198-200)

მირზა გელოვანმა და „ჩვენი თაობის“ პოეტებმა პოეტური ფოლკლორი შემოქმედების წყაროდ აქციეს და მივიწყებული ბალადის ჟანრი ააღორძინეს; ლიტერატურული ლექსი ისევ მჭიდროდ დაუკავშირდა ხალხურს. მირზას კალამს ექვსი ბალადა ეკუთვნის. ესენია: „ცხენის

ტირილი“ (1936 წ.), „აონი“, „თორღვა“ (1937 წ.), „შავლეგო“ (1938 წ.), „ლადო გუდიაშვილი“ და „ბალადა ვარძიის მშენებლისა“ (1939 წ.).

„მ. გელოვანის ბალადები უფრო გერმანულ რომანტიზმში გავრცელებული ლირიკულ-ეპიკური ჟანრის, ბალადის ნიმუშებია, ვიდრე ფრანგული ბალადის მყარი სტროფული ფორმისა“ (ბარბაქაძე, 2017, გვ. 69). მაგრამ ისინი გამოირჩევა როგორც მეტრული მრავალფეროვნებით, ასევე დახვეწილი მხატვრულ-სტილისტიკური ფორმებით და ღრმა სემანტიკით.

გიორგი ნაფეტვარიძეს ეკუთვნის ოთხი ბალადა – „წვიმა“, „სვანური ბალადა“,

„დაუმთავრებელი ბალადა“ და „სიყვარულის ბალადა“. მირზა გელოვანის ბალადებისგან განსხვავებით, ოთხივე ერთი საზომით – იზოსილაბური ათმარცვლედითაა დაწერილი, თუმცა 5/5 საზომს ზოგჯერ 3/2/5 ან 2/3/5 ვარიაციები ენაცვლება.

გიორგი ნაფეტვარიძის ლექსი მსუბუქი და ლაღია. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბალადები ვერსიფიკაციული მრავალფეროვნებით არ გამორჩევა, ისინი ყურადღებას იქცევს მოხდენილი მხატვრული სახეებითა და მუსიკალურობით:

სალამი, ჩემო გამზრდელო
მთებო, ისევ გიხილეთ, ისევ
მოვედი!
ცად აზიდულხართ და
სანაქებოდ გფარავთ სიმწვანის
უდაბნოეთი!

(„დაუმთავრებელი ბალადა“,
ნაფეტვარიძე, 2007, გვ. 394)

„სვანური ბალადა“ მონადირის ამბავს გვიყვება, რომელიც ბატონს ნანადირევ ჯიხვს მიაერთმევს წყალობის მიღების იმედით, მაგრამ უარს მიიღებს და თვითონაც ტრაგიკულად იღუპება. მონადირეა ალექსანდრე საჯიას ლექს „მურზაყანის სიმღერის“ მთავარი გმირიც. საჯია ამ ლექსში 13– (4/2//4/3) და 12– (4/2//4/2) მარცვლედების მონაცვლეობით აგებს სტროფებს:

მურზაყანი მღერის, მთები უფრო მღერიან,
თუ მურზაყანს სძინავს, მთებსაც უნდათ
ძილი. თეთნულდს თეთრი ფერით მთები
შეუფერია, ნაპრალს დასციმციმებს შხარას
თეთრი ჩრდილი.

(„მურზაყანის სიმღერა“,
საჯაია, 2007, გვ. 323-325)

ეს ლექსი სვანთა ვაჟკაცობისადმი მიძღვნილი ოდაა, დახვეწილი პოეტური სახეებით გამდიდრებული. მონადირის სატრფო – დალი – მის საპირისპირო თვისებებს ატარებს. თუ მურზაყანი ღამის შვილია, დალი სინათლეა: „მურზას მკლავზე წვება დალი თმანათელი,/ სვანის ბნელი თმები – არწივების ბუდე“ (საჯაია, 2007, გვ. 323). ამ ორი საწყისის ერთიანობა იფარავს მთებს და მტერთათვის გაურღვეველ ბარიერს ქმნის.

თ. ბარბაქაძე აღნიშნავს (2017, გვ 70), რომ „ბალადა ლაღო ასათიანისა და მირზა გელოვანის პოეზიაში ერთგვარი ხიდი აღმოჩნდა ვაჟა-ფშაველასა და ევროპული ლექსის ფორმების ათვისების ძიების გზაზე“. მართლაც, ბალადის ჟანრის აღორძინების წყალობით, პროლეტარულ ყალიბში მოქცეულმა პოეტებმა შეძლეს, ახალი სიცოცხლე შთაებერთათ ტრადიციული ქართული სალექსო ფორმებისთვის. მათ მოახერხეს ქართული ლექსის ნოვაცია იმ დროს, როცა ბოლშევიკური მთავრობა სასტიკად ებრძოდა „ფორმალიზმს“. სამწუხაროდ, ამ პოეტთა უმრავლესობა საბჭოთა რეპრესიებმა და II მსოფლიო ომმა

შეიწირა. 30-იანი წლების ქართველ პოეტთა, უმთავრესად, ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ავტორთა ვერსიფიკაციული ძიებანი დაუსრულებელი დარჩა: მათ ვერ მოასწრეს თავიანთი პირველი კრებულების შედგენა-გამოცემა და კრიტიკოსთა ნააზრევის გაცნობა-გათვალისწინება; რომ არა მათი უდროოდ შეწყვეტილი სიცოცხლე, შესაძლოა, ქართული პოეზიის ისტორიაში 30-იანი წლები ახალი სალექსო რეფორმის პერიოდად აღნუსხულიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარბაქაძე, თ. (2017). მირზა გელოვანის „დაბრუნებული“ სონეტები და სხვა ლექსები. წიგნში: ლექსმცოდნეობა IX. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“.
- გელოვანი, მ. (2009). დაბრუნება. თბილისი: „ეროვნული მწერლობა“.
- ნაფეტვარიძე, გ. (2007). საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი... თბილისი: „პალიტრა L“.
- რატიაი, ი. ელბაქიძე, მ. (2016). ქართული მწერლობის გოლგოთა. წიგნში: ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა გასაბჭოებიდან მეორე მსოფლიო ომამდე (1921-1941 წწ). თბილისი: „მწიგნობარი“.
- საჯაია, ა. (2007). საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი... თბილისი: „პალიტრა L“
- ქურთიშვილი, შ. (2002). XX საუკუნის ათიანი წლების ქართული მეტრიკა. თბილისი: „იმკო“.
- ცხადაია, ზ. (2006). XX საუკუნის ქართული ლირიკის ისტორიიდან (1930-1940; 1970-1980). თბილისი: „მერანი“.
- Брюсов, В. (1987). Сочинения в двух томах. т. 2. Москва.
- Гаспаров, М.Л. (2003). 13). Очерк истории европейского стиха. Москва: „фортуна лимитед“.

References:

- Barbakadze, T. (2017). Mirza gelovanis „dabrunebuli“ sonet'ebi da skhva leksebi. Ts'ignshi: Leksmtsodneoba, IX. [\"Returned\" sonnets and other poems of Mirza Gelovani. In the book: Versification, IX.]. Tbilisi: „lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba“.
- Bryusov, V. (1987). Sochineniya v dvukh tomakh. T. 2. [Works in two volumes. v. 2]. Moskva.
- Gasparov, M.L. (2003). 13). Ocherk istorii yevropeyskogo stikha. [Essay on the history of European verse]. Moskva: „fortuna limited“.
- Gelovani, M. (2009). Dabruneba. [Return]. Tbilisi: „erovnuli mts'erloba“.
- Kurtishvili, Sh. (2002). XX sauk'unis atiani ts'lebis kartuli met'rik'a. [Georgian metrics of the decades of the 20th century]. Tbilisi: „imk'o“.
- Napet'varidze, g. (2007). Sakartvelo iq'o mati saotsnebo sakheli... [Georgia was their dream name...]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Rat'iani, I., Elbakidze, M. (2016). Kartuli mts'erlobis golgota. Ts'ignshi: Bolshevizmi da kartuli lit'erat'ura gasabch'oebidan meore msoplio omamde (1921-1941 ts'ts'). [Golgotha of Georgian writing. In the book: Bolshevism and Georgian

- literature from Sovietization to the Second World War (1921-1941)]. Tbilisi: „mts'ignobari“.
- Sajaia, A. (2007). Sakartvelo iq'o mati saotsnebo sakheli... [Georgia was their dream name...]. Tbilisi: „p'alit'ra L“.
- Tskhadaia, Z. (2006). XX sauk'unis kartuli lirik'is ist'oriidan (1930-1940; 1970-1980). [From the history of Georgian lyrics of the 20th century (1930-1940; 1970-1980)]. Tbilisi: „merani“.